საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2690 2016 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, აღსრულების ეროვნული ბიუროსა და მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ სსიპ – იუსტიციის სახლის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, აღსრულების ეროვნული ბიუროსა და მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ მათი უფლებამოსილების ფარგლებში გასაცემი სერვისების

მომხმარებლებისთვის „ერთი ფანჯრის“ პრინციპით მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით, სსიპ – იუსტიციის სახლისგან 2017 წლის განმავლობაში საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – იუსტიციის სახლი ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული სახელმწიფო შესყიდვებისას გათავისუფლდეს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის ან/და წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიების წარდგენისაგან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**